

THE LINE OF SOLOMON THE WISE IN THE FOLKLORE OF THE LIAKHVI GORGE

სოლომონ ბრძენის ხაზი ლიახვის ხეობის ფოლკლორში

Aleksandre Mgebrishvili

Doctor of Philological Sciences,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

Abstract. It is reasonable to suggest that this represents a distinct branch within the broader spectrum of Georgian oral tradition. The figure of Solomon the Wise has long been a focal point of scholarly interest in the study of Georgian folk narratives, and the folklore of the Liakhvi Gorge is no exception.

In Georgian folk tales, Solomon the Wise frequently appears both as a central and a supporting figure, yet his role remains largely unchanged. People seek him out for counsel or assistance, viewing him as the ultimate arbiter of wisdom. Notably, Solomon's guidance is not always imparted selflessly—his wisdom often comes at a price.

It is important to highlight that these narratives were transcribed by Aleksandre Machabeli in the latter half of the 19th century. Scholars argue that, since the systematic documentation of such texts largely commenced during this period, many of the societal depictions found within them reflect the realities of urban and rural life of that era. While these tales convey the existential dilemmas of the time, they also preserve vestiges of an archaic worldview, seamlessly interwoven with the emerging social ideologies of the modern age.

Key words: Liakhvi Gorge, folklore, the face of Solomon the Wise, Aleksandre Machabeli, Georgian fairy tale, "Akaki's Monthly Collection".

ალექსანდრე მღებრიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

აბსტრაქტი. შესაძლებელია დავუშვათ, რომ ეს ცალკე მიმართულებაა ზოგადად ქართულ ზეპირსიტყვიერებაში და სოლომონ ბრძენის სახე ყოველთვის გამორჩეული ინტერესის საგანი გახლდათ ქართული ხალხური ზღაპრების შესწავლის პროცესში. ცხადია, გამონაკლისს არც ლიახვის ხეობის ფოლკლორი წარმოადგენს.

ქართულ ხალხურ ზღაპრებში სოლომონ ბრძენი ხშირად გვხვდება როგორც მთავარი, ისე მეორეხარისხიანი პერსონაჟი, მაგრამ მისი როლი თითქმის ყოველთვის იდენტურია.

მასთან მიდიან რჩევის საკითხავად, ან რაიმეს სათხოვნელად. რჩევის მიღებას მისგან მოელიან იმიტომაც, რომ იგი მიჩნეულია სიბრძნის გამცემის სიმბოლოდ. გასათვალისწინებელია, რომ სოლომონი ხშირად ამას აკეთებს არა უანგაროდ, არამედ რაიმე საფასურის სანაცვლოდ.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ტექსტები ალექსანდრე მაჩაბლის მიერ ჩაწერილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. მკვლევართა მოსაზრებით, ვინაიდან ამგვარ ტექსტთა დიდი ნაწილის ჩაწერა დაიწყო XIX საუკუნეში, მრავალ მათგანში ასახული ცხოვრების სურათები წააგავს იმავე პერიოდის ქალაქისა და სოფლის ყოფას. იმ პერიოდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ყოფით პრობლემებს, თუმცა, ბუნებრივია, ბევრი მათგანი ინარჩუნებდა არქაული მსოფლმხედველობის ნაშთებს, რომლებშიც ოსტატურად ერწყმის ახალი დროის სოციალური იდეოლოგია.

საკვანძო სიტყვები: ლიახვის ხეობა, ფოლკლორი, სოლომონ ბრძენის სახე, ალექსანდრე მაჩაბელი, ქართული ზღაპარი, „აკაკის თვითური კრებული“.

მეთოდები. ტექსტში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: შედარება, ანალიზი, განზოგადება და სხვ. გამოყენებული შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი მოიცავს დასახელებულ თეორიულ მეთოდოლოგიებს.

შესავალი, შედეგები და მსჯელობა. შესაძლებელია დავუშვათ, რომ ეს ცალკე მიმართულებაა ზოგადად ქართულ ზეპირსიტყვიერებაში და სოლომონ ბრძენის სახე ყოველთვის გამორჩეული ინტერესის საგანი გახლდათ ქართული ხალხური ზღაპრების შესწავლის პროცესში. ცხადია, გამონაკლისს არც ლიახვის ხეობის ფოლკლორი წარმოადგენს.

ქართულ ხალხურ ზღაპრებში სოლომონ ბრძენი ხშირად გვხვდება როგორც მთავარი, ისე მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, მაგრამ მისი როლი თითქმის ყოველთვის იდენტურია. მასთან მიდიან რჩევის საკითხავად, ან რაიმეს სათხოვნელად. რჩევის მიღებას მისგან მოელიან იმიტომაც, რომ იგი მიჩნეულია სიბრძნის გამცემის სიმბოლოდ. გასათვალისწინებელია, რომ სოლომონი ხშირად ამას აკეთებს არა უანგაროდ, არამედ რაიმე საფასურის სანაცვლოდ.

ლიახვის ხეობის ფოლკლორში გვხვდება სოლომონის მიერ თხოვნის უსასყიდლოდ შესრულების შემთხვევებიც. აქვე ვხვდებით ერთ საინტერესო ნიუანსსაც. ქართულ ფოლკლორისტიკაში სოლომონის ხაზის ზღაპრებს ძირითადად მიაკუთვნებენ ჯადოსნური ან საყოფაცხოვრებო ზღაპრების ციკლებს, ჩვენ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე. წ. „ცხოველთა ზღაპართან“. ზღაპარში სათაურით „სოლომონ ბრძენი და ძაღლების საჩივარი“ მოქმედების ხაზი განვითარებულია ცხოველთათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით. სიუჟეტი არ განეკუთვნება არქაულ სიუჟეტთა წარმოშობის პერიოდს „როდესაც ადრეგვაროვნულ ეპოქაში ადამიანები მონადირეობითა და მესაქონლეობით ცხოვრობდნენ. იმ პერიოდის რწმენის თანახმად, ადამიანების გვარს კავშირი ჰქონდა ცხოველებთან, მათგან იყვნენ წარმოშობილნი. მატრიარქატის დროს ცხოველებისადმი რიდი და თაყვანისცემა განსაკუთრებულად ძლიერი ყოფილა. ამ პერიოდის მითიურ გადმოცემებში იგრძნობა ადამიანთა მოწიწება მათ წინაშე, რადგან ღვთაებად მიიჩნევდნენ. ძველისძველ მონადირულ საზოგადოებაში ჩაპყრია საფუძველი მითებსა და გადმოცემებს ცხოველთა გამოუცნობი ხასიათის, ბუნებისა და ქცევის შესახებ. ფიქრობენ, რომ ცხოველებზე უძველეს მოთხრობებს ყვებოდნენ ნამდვილად მომხდარი ამბავებით. მითიური წარმომავლობის მოტივებს ცხოველების წარმოშობის, მათთან ადამიანთა ურთიერთობის შესახებ მსოფლიოს მრავალი ხალხი იცნობს.“ (ქურდოვანიძე, 2001, გვ. 145)

ჩვენს მიერ დასახელებული ტექსტი, „აკაკის თვით კრებულში“¹ გამოქვეყნდა (აკაკის თვით კრებული, 1899ა, გვ. 26), სიუჟეტი შედარებით გვიანდელია. აქ ადამიანთა და ცხოველთა სამყარო მკვეთრად გამიჯნული და გარკვეულწილად დადგენილ წესრიგს ექვემდებარება. ამ სამყაროში ცხოველები რჩებიან ცხოველებად, თუმცა ადამიანურ თვისებებს ავლენენ, ადამიანებზე საუბრობენ და განიცდიან. სიუჟეტში შენარჩუნებულია სოლომონ ბრძენის ხაზის ზღაპრებისთვის დამახასიათებელი მთავარი თავისებურება - სოლომონთან თხოვნით მისვლის და მისი, როგორც მჩუქებლის ფუნქცია. ამ შემთხვევაში მთხოვნელებად წარმოდგენილი არიან ძაღლები და მათი თხოვნა დაკავშირებულია არა მატერიალურ სიკეთესთან (ფულთან), ან რჩევის (სიბრძნის) მიღებასთან, არამედ საქმე ეხება - მოწყალებას (საკვებს), რამაც უნდა შეცვალოს მათი მომავალი ცხოვრება. სოლომონი უანგაროდ ცდილობს დახმარებას. აქვე ჩართულია ერთი ძალზე საინტერესო და დამაფიქრებელი პასაჟი, რომლის მიხედვითაც მთხოვნელებს უჭირთ მიღებული წყალობის შენარჩუნება.

„სოლომონ ბრძენი და ძაღლების საჩივარი. ერთხელ სოლომონ ბრძენთან მოვიდნენ ძაღლები და იჩივლეს: „დუმე მეცხვარისა, იქიდგან ჩვენთვის არა გამოირჩევა რა ხოლმე, სულ ისინი სჭამენ, ჩვენ თვალეზი გვებრიცხება იმათი ცქერით, არას გადმოგვიყრიან, რომ ვსჭამოთ და შიმშილით ვიხოცებით, - ჩვენც წილი მოგვეც რამეო“. მაშინ სოლომონმა მეცხვარეს ღუმის ჭამა აუკვეთა და კისერი დაუწესა. „კისერს ხომ ბევრი ძვალი აქვს და თქვენ, ძაღლებს გადმოგვიყრიანო“. ძაღლები არ გახდნენ თანახმანი. „ცოტა მოგვივა, კისერს ბევრი ხორცი არ აკრავს და ძვალსაც არ დაგვიტოვებენ, ან კი ძვლებს რას გამოვრჩეთო“. მაშინ სოლომონმა დაუწესა: „რაც უსულადო, უდანოთ მოკვდეს, ის სულ თქვენი იყოს, არავის აღარ ეჭმევოდესო“. ძაღლები მადლობლები გაუხდნენ და მოახსენეს: „ვერ გენდობით ცარიელა სიტყვით და ქაღალდი დაგვიწერეო“. დაუწერა წყალობის წიგნი სოლომონმა და მისცა. ძაღლებმა გამოართვეს ეს წყალობის წიგნი და ერთ დაბერებულ ძაღლს მიაბარეს; იმანაც ამოიღო კუდ ქვეშ ეს ქაღალდი და ყველანი წამოვიდნენ ხელმწიფის წყალობით გახარებულნი. ყველანი თავთავის ბინისაკენ გაეშურნენ და ეს ბებერი ძაღლიც მარტოკა თავის სახლისაკენ გაემართა. ამ დროს გამოცვივდნენ მგლები, დაეწიენ ამ ძაღლს, დაიჭირეს, დაფლითეს ლუკმა-ლუკმა საცოდავი ძაღლი და წყალობის წიგნიც სულ მთლად დაუფხრიწეს. მას უკანია დაჰკარგეს ძაღლებმა ის ქაღალდი და ეძებენ მას. ამიტომაც ძაღლი რომ უცხო ძაღლს დაინახავს, გამოუდგება ხოლმე და მაშინათვე კუდ-ქვეშ სუნავს, - წყალობის ქაღალდი ამას ხომ არ აქვსო!

და ხალხშიდაც ასეა დარჩენილი, როდესაც ძაღლს თვალს შეავლებენ ამ მოქმედების დროს, ამბობენ; ეს ძაღლი სოლომონის საბუთს ეძებსო.“ (აკაკის თვით კრებული, 1899ა, გვ. 26)

ცხადია, რომ მოხმობილ ტექსტში დასმული პრობლემა ყოფითია. ზოგადად ეს ტენდენცია დამახასიათებელია ცხოველთა ზღაპრებისთვის, თუმცა, საგულისხმოა, რომ ცხოველთა ზღაპრების უმრავლესობისგან განსხვავებით, საკვების მოპოვებისთვის ზემოხსენებული ტექსტის პერსონაჟები არც იტყუებიან, არც ძალადობენ, ისინი უბრალოდ ეძებენ გაჭირვებიდან თავის დახსნის სამართლებრივ გზებს, რითაც შეძლებენ მძიმე ყოფას თავი დააღწიონ არა ერთჯერადად, არამედ სამუდამოდ. საგულისხმოა, რომ სოლომონის სახე აქ გაიგივებულია უმაღლეს ხელისუფალთან, თუმცა მოთხოვნილი წყალობის მიღებისას მთხოვნელნი იჩენენ უნდობლობას მისი სიტყვის მიმართ და მხოლოდ მიღებული წყალობის დოკუმენტურად გაფორმებით კმაყოფილდებიან.

¹ ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „აკაკის თვით კრებული“ გამოდიოდა 1897-1890 წლებში ქუთაისა და თბილისში. რედაქტორ-გამომცემელი აკაკი წერეთელი.

სოლომონთან სათხოვნელად მისული ძაღლების მიერ მიღებული წყალობის სიგელის შემდეგ გახარებული მთხოვნელები როგორც კი დაადგებიან სახლებისკენ მიმავალ გზებს მოქმედებაში ერთვებიან მგლები.

ზოგადად, ზღაპართა უმრავლესობაში მგელი გამოყვანილია დიპლომატიურ თვისებათა არ მქნე, საკუთარ ძალთა უპირატესობაში დარწმუნებულ და სწორხაზოვანი აზროვნებით მოქმედ პერსონაჟად. ზღაპრული მგელი ხშირად მოქმედებს სხვათა წაქეზებით და არც ნისი მოტყუება გახლავთ რთული. იგი ძალიან ხშირად ჩანს როგორც მშიერი, ლოგიკურ აზროვნებას მოკლებული, რომელიც ტიპური მტაცებელია და არც თუ ისე იშვიათად უშვებს შეცდომებს.

მოტანილ ტექსტში არს მოქმედების სივრცე ჩანს, არც ის წამქეზებელი, ვისი მითითებითაც მგლები ჩნდებიან ასპარეზზე, თუმცა ცხადია, რომ მათი მოქმედება გათვლილია. ისინი მიზანმიმართულად ედევნებიან, ეწევიან და კლავენ კონკრეტულად იმ ძაღლს, რომელსაც სოლომონის წყალობის სიგელი აქვს მიბარებული შესანახად. გასათვალისწინებელია, რომ ეს უკანასკნელი შედარებით ასაკოვანი ძაღლია და განსაკუთრებული წინააღმდეგობის გაწევის უნარს მოკლებულიც.

„დაეწიენ იმ ძაღლს, დაიჭირეს, დაფლითეს ლუკმა-ლუკმა საცოდავი ძაღლი და წყალობის წიგნიც სულ მთლად დაუფხრიწეს.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899ა, გვ. 26) წყალობის წიგნის დაკარგვამ, ბუნებრივია, ძალა დაუკარგა სოლომონის დანაპირებსაც და ყველაფერი ძველ ადგილას დააბრუნა.

მოცემულ ზღაპარში მოქმედება ტიპურია და ცხოველთა ზღაპრისთვის დამახასიათებელ სქემას მისდევს:

- ტექსტი იწყება შეხვედრით.
- სიუჟეტი მარტივია.
- გადმოცემულია ერთი ამბავი.
- ზღაპარში იკვეთება მოქმედ პირთა (ჯგუფთა) მინიმალური ოდენობა.
- პერსონაჟთა რაოდენობა პირდაპირპროპორციულად უკავშირდება მოთხრობილი ამბის ხასიათს.

- კვანძის შეკვრისთანავე სახეზეა მოქმედება და გადმოსაცემი ამბის დასრულება.

XIX საუკუნეში ლიახვის ხეობაში ჩაწერილ ზღაპართა შორის იძებნება სოლომონის ხაზის კიდევ ერთი საინტერესო ტექსტი „სოლომონ ბრძენის ამბები“ (აკაკის თვითური კრებული, 1899ბ, გვ. 23). როგორც ზემოთ ვამბობდით, სოლომონთან დაკავშირებული ტიპური სიუჟეტური ხაზი ძირითადად ვითარდება ისეთ გარემოში, სადაც სოლომონს ძირითადად დაკისრებული აქვს მჩუქებლის ფუნქცია. ხშირად ჩუქებაში იგულისხმება რჩევის, იგივე სიბრძნის ჩუქება (ხშირად არა უსასყიდლოდ, არამედ გარკვეულ საფასურად), რაც ზღაპრის გმირს ეხმარება ცხოვრების შეცვლაში, ან ყველაფრის ხელახლა დაწყებაში.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ განსახილველი ტექსტის სიუჟეტური ქარგა ტიპური სიუჟეტებისგან სრულიად განსხვავებულია. ამ ზღაპარში თავად სოლომონი ჩანს გამოუვალ მდგომარეობაში. უზარმაზარი ძალაუფლებისა და ქონების მიუხედავად ის ვერ ახერხებს პირადი ცხოვრების დალაგებას სხვათა დახმარების გარეშე.

„სოლომონ ბრძენის ამბები. სოლომონ ბრძენს ცოლი გაექცა, რომელსაც თავისივე მწყემსი შეეყვარებინა და იმას დასდევდა. შემოვიდა ერთ დღეს მწყემსი სოლომონ ბრძენთან და ნახა სოლომონი მწარედ დაღონებული და მომტირალე. მწყემსმა თაყვანი - სცა და მოახსენა: „რა იყო, ბატონო, რამ დაგაღონა?“ - რაღა რამ დამაღონა, კაცს ერთი ცოლი ჰყავდეს და ისიც გაექცეს, მას რა იქნებაო?

- რა დაგემართა, შე დალოცვილო, მეფე ვიყო, მაგოდენი სიმდიდრე მქონდეს და ვერ მოვიყვანო?

- აჰა, ეს სიმდიდრე და ყოველი უფლება, თუ მოიყვან, მომიყვანეო.

- ძალიან კარგი, უთხრა მწყემსმა.

დააწერინა ნების ქაღალდი ყველგან მგზავრობის; ვითომდა ვაჭარიც არის, შეაბმევინა ურმები, ჩაჯდა შიგ, თანაც ბევრი ფული წაიღო და რასაკვირველია, ვაჭრულად ჩაიცვა და წავიდა სოლომონ ბრძნის ცოლის სამშობლოსკენ. იმ დროს მისი ცოლი იქ იმყოფებოდა. დაიჭირა მოჯამაგირე ნოქრები, მისცა ერთი-ორი სამოჯამაგირო, მიუსია სოფელ - ქალაქებსა და რაც შინაური ფრინველი იყო, სულ აყიდვინა. ყველაში გადაჭარბებულ ფასს აძლევდა. უკვირდა ყველას, თუ რად უნდოდა ამოდენა წვრილ-ფეხი. გაიგო ეს სოლომონის ცოლმაც და დაიბარა ეს ვაჭარი მწყემსი. მან ვაჭრულად ჩაიცვა ახალ-ახალი ტანისამოსი და ეახლა. სოლომონის ცოლმა ვერ იცნო. მერე ჰკითხა:

- რა კაცი ხარ შენაო

- რა კაცი უნდა ვიყო? აი, ჩემი ქაღალდი მოგახსენებსო - ამოიღო და აჩვენა.

- არა, მითხარ ისე, ვინა ხარ, ვიცი კაცი ხარო?

- რახან მკითხავ, მოგახსენებ: მე გახლავარ სოლომონ ბრძნის ყმა.

- მერე და რად გინდა ამდენი ფრინველი?

- როგორ თუ რად მინდა! სოლომონს ცოლი გაექცა, ახლა სხვაზე ქორწილდება, მე აქ გამომგზავნა და რამდენი კიდეც სხვაგან არიან გაგზავნილები, და ყიდულობენ ფრინველს საქორწილოდაო.

მაშინ შური აიღო სოლომონის ცოლმა და სთქვა: „აბა, რასაკვირველია, სხვას არ გავახარებ ჩემ სოლომონზედაო“. დაჰკრა ფეხი და ვინემ ეს ვაჭარი მწყემსი მივიდოდა, ეს ქალი უწინ მივიდა სოლომონთან, მიესალმა და ერთმანეთს აკოცეს.

მოვიდა მწყემსი, რომელსაც მწყემსურად ჩობანი და გუდა ეჭირა ხელში. დაინახა სოლომონმა, შეიყვანა ოთახში, გადაეხვია და აკოცა.

მერე ჰკითხა: „კაცო, რად ხარ შენ მაგისტანა, როგორ მოახერხე ეგ საქმე?“

მან ყოველივე უამბო.

სოლომონმა უბრძანა: „მე უნდა გაგამდიდროო“.

- არა, შენი ჭირიმე, სიმდიდრე ღვთის ნებაა, არ მინდა, ტყვილად შენ ხაზინას დააკლებ და მე კი იმითი ვერ გამამდიდრებო.

- წადი შენ შინა, უბრძანა სოლომონმა და თან ვირის საპალნეები გააყოლა თვალ-მარგალიტით და ყოველივე სიმდიდრით დატვირთული. მიდიან ეს მწყემსი და მეფის გაგზავნილი ვირების წამყვანი კაცები. ამოვარდა უცხად ქარი, დაუშინა წვიმა, მოვარდა ნიაღვარი და ყოველივე სიმდიდრე ვირებიანათ ნიაღვარმა წაიღო და დაღუპა. მწყემსმა ძლივს მოასწრო თავის გუდა-ჩობანით ხეზე ასვლა და თავის გადარჩენა. რომ გადიდო ავდაქრი, ჩამოვიდა, სოლომონს იახლა და მოახსენა: „აკი მოგახსენე, ტყვილად ხაზინას აკლებ - მეთქი, შენი ნაბომები სიმდიდრე ნიაღვარმა წამართვაო“. გაუკვირდა სოლომონს და უბრძანა: - მიაბზე, საიდან იცი შენ ეგეები, რა არის მიზეზიო? მწყემსმა მოახსენა; „მე და თქვენ ერთ მთვარეზე ვართ დაზადებული. ჰკუა ერთი მოგცა ღმერთმა, მაგრამ როდესაც თქვენ დაიბადეთ, რომელიც ვერძი უფალს ახლავს, ის ვერძი მაშინ დუმას იფხანდა - მიტომ დაგყვით მაგისტანა დოვლათი; მე როცა დავიადე, მაშინ რქაზე წამოიკრა ფეხი და მე იმისათვის ვარ ღატაკი. სულ წაღმა რომ ვიარო, მაინც ასე უკუღმა მომივა საქმეო, და ვერც გავმდიდრდებიო“. (აკაკის თვითური კრებული, 1899ზ, გვ. 23)

ისევე, როგორც ქართულ ფოლკლორში დაცული ტექსტების უმრავლესობა სოლომონის ციკლის ზღაპრებისა, წარმოდგენილი ტექსტი საყოფაცხოვრებო ზღაპრის ჟანრს განეკუთვნება.

პროფ. მ. ჩიქოვანი მიუთითებდა, რომ „ზღაპრული ეპოსის რეალისტური ბუნების დახასიათების დროს წინა რიგში თემატიკის სფერო გვევლინება. საყოფიერო-რეალისტური ეპოსის ძირითად სიუჟეტურ ჯგუფებს წარმოადგენენ: გმირის დაქორწინება, ცოლ-ქმრული ერთგულება, ცოლის გამოსწორება, კეთილგონივრული რჩევა, რძალ-დედამთილი, ქურდობა და ყაჩაღობა, ჩარჩ-ვაჭრობა, ღარიბი და მდიდარი, მოაშიკე

მღვდელ-მონაზვნები, მოსწრებული ტყუილი და სხვ. ამ სახის ნაწარმოებთა მიზანს ყოფაცხოვრების, ოჯახის წევრებისა და სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთა დახასიათება შეადგენს.“ (ჩიქოვანი, 1946, გვ. 337)

მოხმობილ ტექსტში მოვლენები ასახულია შელამაზების გარეშე. მკითხველი აქ ვეღარ შეხვდება ჯადოსნური ზღაპრისთვის დამახასიათებელ ფანტასტიკურ გარემოს. მოქმედება მიმდინარეობს დედამიწაზე და არა ქვესკნელსა და მსგავს სამყაროებში, ან მათი ბინადრების გარემოცვაში. ადგილი ეთმობათ ჩვეულებრივ ადამიანებს, მათ სურვილებს, ვნებებს და მისწრაფებებს. ამ ტიპის ტექსტების პერსონაჟთა პრობლემები უკიდურესად დაახლოებულია რეალურ ცხოვრებაში მყოფთა პრობლემებთან. ტექსტში არ იგრძნობა კლასობრივად სხვადასხვა საფეხურზე მდგომთა შორის მტრობა, დაპირისპირება. უფრო მეტიც, ხელისუფალი სიამოვნებით იღებს მწყემსის დახმარებას.

ტექსტში საინტერესო პასაჟია ერთ-ერთი მოქმედი გმირის (სოლომონის ცოლის) სახლიდან წასვლა, რაც თითქმის ყოველთვის მოტივირებულია რაიმეს უქონლობით. ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ სახეზეა გრძნობების დეფიციტი, რაც აიძულებს გმირს გადადგას ეს ნაბიჯი. ეს არის ისეთი ადამიანის მოქმედება, „რომელიც ვეღარ ეგუება ღარიბულ ან, უბრალოდ, ერთფეროვან ცხოვრებას. გმირის ინდივიდუალობა სწორედ ამ წასვლაში ჩნდება. ინდივიდუალიზაციის პროცესი უკვე დაწყებულია მის პიროვნებაში.“ (ინწირველი, 2004, გვ. 167)

„ახალ ქვეყნებს ისინი ეძიებენ, ვისაც ევიწროვება ყოფის ჩარჩოები.“ (ტრუბეცკოი, 1991, გვ. 58)

მიუხედავად ამისა, როგორც აღმოჩნდება, მწყემსის მოხერხებულ ქმედებათა წყალობით, შურით გულანთებული პერსონაჟი მალევე ასრულებს ინდივიდუალიზაციის პროცესს და ბრუნდება ქმრის სახლში.

განსახილველ ტექსტში უაღრესად საინტერესოა მწყემსის სახე. ერთის მხრივ, იგი შეიძლება სოლომონ ბრძენის პროტოტიპად განვიხილოთ, ხოლო მეორეს მხრივ, საგულისხმოა, რომ მწყემსის გონიერებით სოლომონის აღფრთოვანება უცხო არ გახლავთ ქართული ფოლკლორისთვის (დლონტი, 1975, გვ. 269), თუმცა, ცხადია, კონტექსტი განსხვავებულია.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ტექსტი ალექსანდრე მაჩაბლის მიერ ჩაწერილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. მკვლევართა მოსაზრებით, ვინაიდან ამგვარ ტექსტთა დიდი ნაწილის ჩაწერა დაიწყო XIX საუკუნეში, მრავალ მათგანში ასახული ცხოვრების სურათები წააგავს იმავე პერიოდის ქალაქისა და სოფლის ყოფას. იმ პერიოდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ყოფით პრობლემებს, თუმცა, ბუნებრივია, ბევრი მათგანი ინარჩუნებდა არქაული მსოფლმხედველობის ნაშთებს, რომლებშიც ოსტატურად ერწყმის ახალი დროის სოციალური იდეოლოგია.

„მხატვრულად გაფორმებული და მოწვდილი ამბები დანახულია სოციალური, მორალური და სამართლებრივი პოზიციებიდან. ეს ზღაპრები ჰგვანან კიდეც ერთმანეთს და განსხვავებულიც არიან. ცხოვრებისეული სინამდვილე ხალხურ ნოველებში ერთი პრინციპით არის ასახული - უკიდურესადაა გამწვავებული კლასობრივი და საყოფაცხოვრებო პრობლემებისგან წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციები. ზღაპრებს ერთმანეთისგან განასხვავებს კონკრეტული თემები და იდეები, მოქმედების სხვადასხვა სივრცე, დრო და სხვ.“ (ქურდოვანიძე, 2001, გვ. 175)

XIX საუკუნეში არსებულ კლასობრივ დაპირისპირებათა შესანიშნავად, განსახილველ ტექსტში წინა პლანზეა წამოწეული ბედისწერის გარდაუვალობის საკითხი. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არსებულ ე. წ. ბედისწერის კანონით განსაზღვრულია, რომ ადამიანის ბედი დაბადებისთანავე იწერება და მისი შეცვლა შეუძლებელია.

ბედისწერის თემატიკა, სხვადასხვა სიუჟეტური კონტექსტებით, ქართულის გარდა, სხვა არაერთი ხალხის ფოლკლორული საგანძურის ფურცლებზე გახლავთ განფენილი. ეს

თემა, ზოგადად, მითოლოგიური ცნობიერების ნაწილია და ღრმად აქვს ფესვი გამდგარი მრავალსაუკუნოვან ხალხურ სიტყვიერებაში.

ანტიკური ხანიდან მოყოლებული, ადამიანები ყოველთვის დარწმუნებული იყვნენ ზებუნებრივ ძალთა არსებობაში, განიხილავდნენ მათთან ურთიერთობის საკითხებს, ცდილობდნენ მათი გულის მოგებას, რაც პერმანენტულად ვლინდებოდა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, შელოცვებში, ანდაზებში, თქმულებებში და ა. შ.

ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული ზედისწერისა და ზედის მწერელთა შესახებ საინტერესო მსჯელობას გვთავაზობს მკვლევარი ნ. კაპანაძე-გაფრინდაშვილი: „ზედის წერა-მწერელთა მონათხრობის კანონიკა ქართულ ზეპირ სიტყვიერებაში ქრისტიანობამდელი წარმოდგენების ნათელი სურათია და ბერძნული ტრადიციის „ფატუმს“ ჰგავს. გარეგნულად „ანგელოზი“ დაერქვა „ზედის-მწერელთ“, ხშირად ნათლია ქრისტე მონაწილეობს, რათა შეცვალოს „წერა-მწერელთაგან“ დაწერილი ზედისწერა, მაგრამ ისიც უძლურია და ვერ იფარავს უბედურებისგან, ვერ აუქმებს ზედისწერას... ქრისტიანული საზრისი ადამიანის ნებისა, ღვთისგან მონიჭებული თავისუფალი ნების ქმედითობა და პიროვნული არჩევანი სრულიად უგულვებელ ყოფილია. ზედის „წერა-მწერელთა“ მიერ დაწერილი, ხალხური ტრადიციით, კანონია. ფაქტობრივად, ხალხურ ცნობიერებაში ეს წარმოდგენა დღემდე ძლიერია.“ (კაპანაძე-გაფრინდაშვილი, 2006, გვ. 80)

უნდა შევნიშნოთ, რომ ხალხურ სიტყვიერებაში ღრმად გამჯდარი მსგავსი სიუჟეტური ხაზები, ხშირად ოსტატურად იყო გამოყენებული დაბალი სოციალური ფენების მორჩილების გასაძლიერებლად, მათში უკეთესი ხვალისდელი დღის რწმენის და ძიების დათრგუნვისა და მძიმე ხვედრის გარდაუვალობის აზრთან შემგუებლობის გასაზრდელად.

კომპოზიციურ ელემენტთაგან, პირველყოვლისა, ყურადღებას იქცევს ტექსტის სათაური. გავრცელებული შეხედულებით ასეთი ტიპის სათაურები არ გამოირჩევიან დიდი დატვირთვით და ხშირ შემთხვევაში ქვეტექსტის ნიშნების დანახვაც შეუძლებელია. მათში ვერც ტენდენციას ამოვიკითხავთ და ვერც ჩანაფიქრს. უმრავლესად, ამგვარ ზღაპართა სათაურები იგება პერსონაჟთა სახელებზე. სწორედ ასეთ შემთხვევებზეა ამჯერად საუბარი. მოხმობილ ტექსტთაგან პირველ შემთხვევაში სათაური („სოლომონ ბრძენის ამბები“) სქემატური და უტყვია. ამასთან, მასთი მოთხრობილია არა ამბები, არამედ მხოლოდ ერთი ეპიზოდი. რაც შეეხება მეორე ტექსტის სათაურს („სოლომონ ბრძენი და ძაღლების საჩივარი“) წინამორბედისგან განსხვავებული ხასიათისაა. მასში შინაარსის გამმჟღავნებელი ელემენტის მოძიება შესაძლებელია. აკონკრეტებს ზღაპრის შინაარსს და ძირითად ამბავზე მიაწვდის. შესაბამისად, მეორე ტიპის სათაური უფრო გავრცობილი ხასიათისაა, მკითხველს მიუთითებს იმ დეტალებისკენ რომლებზეც ტექსტში ყურადღება იქნება გამახვილებული, აღმრავს მკითხველის ინტერესს და მიმართავს კონკრეტული მიმართულებით. ასეთი ტიპის სათაური, ბუნებრივია, გაცილებით უფრო შთამბეჭდავია და ინტერესის აღმძვრელ-გამაძლიერებელიც. ამგვარი ტიპის სათაური უფრო მეტყველია და მოთხრობელის ტენდენციას, დამოკიდებულებას უფრო მკაფიოდ ამჟღავნებს.

განსაკუთრებულად გამოკვეთილია ზღაპარში დიალოგის ფუნქცია. ამ მიმართულებით ყურადღებას ამახვილებს პროფ. ფ. ზანდუკელი. მისი აზრით, „დიალოგი სრულიად არ წარმოადგენს თვითმიზანს. იგი ხშირად ხასიათის გამოკვეთის ან სიუჟეტის განვითარების, მოქმედების განმაპირობებელი ფაქტორია... მთელ რიგ ზღაპრებში დიალოგს მოქმედების განვითარების წინაპირობის ფუნქცია აკისრია. ამ შემთხვევაში გასაუბრება წარმოადგენს ერთგვარ შეთანხმებას, რომელიც მოქმედებით უნდა შესრულდეს. იგი, როგორც წესი, წინ უსწრებს მოქმედებას.“ (ზანდუკელი, 1977, გვ. 109)

მაგალითად:

„- რა დაგემართა, შე დალოცვილო, მეფე ვიყო, მაგოდენი სიმდიდრე მქონდეს და ვერ მოვიყვანო?

- აჰა, ეს სიმდიდრე და ყოველი უფლება, თუ მოიყვან, მომიყვანეო.

- ძალიან კარგი, უთხრა მწყემსმა.

დააწერინა ნების ქაღალდი ყველგან მგზავრობის; ვითომდა ვაჭარიც არის, შეაბმევინა ურმები, ჩაჯდა შიგ, თანაც ბევრი ფული წაიღო და რასაკვირველია, ვაჭრულად ჩაიცვა და წავიდა სოლომონ ბრძნის ცოლის სამშობლოსკენ.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899წ, გვ. 23)

ანალოგიური დატვირთვა აქვს სხვა დიალოგებსაც:

„მერე ჰკითხა:

- რა კაცი ხარ შენაო

- რა კაცი უნდა ვიყო? აი, ჩემი ქაღალდი მოგახსენებსო - ამოიღო და აჩვენა.

- არა, მითხარ ისე, ვინა ხარ, ვიცი კაცი ხარო?

- რახან მკითხავ, მოგახსენებ: მე გახლავარ სოლომონ ბრძნის ყმა.

- მერე და რად გინდა ამდენი ფრინველი?

- როგორ თუ რად მინდა! სოლომონს ცოლი გაექცა, ახლა სხვაზე ქორწილდება, მე აქ გამომგზავნა და რამდენი კიდეც სხვაგან არიან გაგზავნილები, და ყიდულობენ ფრინველს საქორწილოდაო.

მაშინ შური აიღო სოლომონის ცოლმა და სთქვა: „აბა, რასაკვირველია, სხვას არ გავახარებ ჩემ სოლომონზედაო“. დაჰკრა ფეხი და ვინემ ეს ვაჭარი მწყემსი მივიდოდა, ეს ქალი უწინ მივიდა სოლომონთან, მიესალმა და ერთმანეთს აკოცეს.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899წ, გვ. 23)

ან კიდეც:

„მერე ჰკითხა: „კაცო, რად ხარ შენ მაგისტანა, როგორ მოახერხე ეგ საქმე?“

მან ყოველივე უამბო.

სოლომონმა უბრძანა: „მე უნდა გაგამდიდროო“.

- არა, შენი ჭირიმე, სიმდიდრე ღვთის ნებაა, არ მინდა, ტყვილად შენ ხაზინას დააკლებ და მე კი იმითი ვერ გამამდიდრებო.

- წადი შენ შინა, უბრძანა სოლომონმა და თან ვირის საპალნეები გააყოლა თვალმარგალიტით და ყოველივე სიმდიდრით დატვირთული.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899წ, გვ. 23)

ცხადია, რომ დიალოგს ზღაპარში განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია და ის უფრო პერსონაჟთა მოქმედების წინაპირობას წარმოადგენს, ვიდრე მოქმედების შედეგისა. როგორც ქალბატონი ფიქრია ზანდუკელი დაასკვნოდა - ეს ზღაპართა სპეციფიკად უნდა ჩაითვალოს.

დასკვნა. ამგვარად, ზემოთ მოტანილი ზღაპრები საკმაოდ დახვეწილი, მკაცრი სიუჟეტური ქარგით გამოირჩევა. უკიდურესად შემცირებული და მინიმუმამდეა დაყვანილი გვერდითი სიუჟეტური ხაზები. პერსონაჟთა მოქმედება იწყება პირველი სტრიქონებიდანვე, ვითარდება სწორხაზოვანი მიმართულებით და სრულდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ზღაპრის დასასრული. მკვლევართა მიერ ერთმანეთისგან იმიჯნება კომპოზიციური და არაკომპოზიციური დასასრულები, რომლებიც ამ ტიპის ზღაპართათვის არის დამახასიათებელი. ვფიქრობთ, რომ ზღაპარში „სოლომონ ბრძნის ამბები“ სწორედ კომპოზიციურ დასასრულთან გვაქვს საქმე. ამ ტექსტის ბოლო უშუალოდ სიუჟეტის განვითარებასთან არს დაკავშირებული, ორგანულად ერწყმის ტექსტის მიმდინარეობას და თხრობის ლოგიკურ დასრულებას წარმოადგენს.

მეორე ზღაპრის შემთხვევა კიდევ უფრო საინტერესოა. ცხოველთა შესახებ ზღაპრების გარკვეული ნაწილისთვის დამახასიათებელია დასასრული, რომელიც ერთგვარი ნაკვეთის ფორმას ატარებს. ასეთ დროს მთხრობელის მიერ გარკვეული აქცენტები კეთდება დასკვნაზე, რაც მას კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს და მახვილსიტყვაობის ნიმუშად აქცევს. მიგვაჩნია, რომ ზღაპარში „სოლომონ ბრძენი და ძაღლების საჩივარი“ დასკვნით ნაწილში სწორედ ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

„მას უკანია დაჰყარგეს ძაღლებმა ის ქაღალდი და ეძებენ მას. ამიტომაც ძაღლი რომ უცხო ძაღლს დაინახავს, გამოუდგება ხოლმე და მაშინათვე კუდ-ქვეშ სუნავს, - წყალობის ქაღალდი ამას ხომ არ აქვსო! და ხალხშიდაც ასეა დარჩენილი, როდესაც ძაღლს თვალს შეავლებენ ამ მოქმედების დროს, ამბობენ; ეს ძაღლი სოლომონის საბუთს ეძებსო.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899ა, გვ. 26)

მთხრობელის მიერ ძირითადი აქცენტი კეთდება ბოლო ფრაზაზე, რომელიც ფაქტობრივად წინა მოქმედებების ლოგიკურ შეჯამებას წარმოადგენს.

წარმოდგენილი ტექსტები განტვირთულია ლირიული გადახვევებისგან. ტენდენცია გამჟღავნებულია შეფარვით, არაპირდაპირი გზებით. მოქმელი თავს იკავებს საკუთარი დამოკიდებულებების ღიად გამჟღავნებისგან. ზღაპრების არქიტექტურა უაღრესად სადაა და გვერდითი შენაკადებისგან დაცლილი. თითოეული დეტალი მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელია, რაც ქმნის საერთო შინაარსობრივ სიღრმეს.

გამოყენებული ლიტერატურა

- აკაკის თვითური კრებული. (1899)ა. სოლომონ ბრძენი და ძაღლების საჩივარი. მ. ჟუჟნიასვილისაგან ნათქვამი, ს. ქურთაში ჩაწერილი. #I, განყ. II.
- აკაკის თვითური კრებული. (1899)ბ. სოლომონ ბრძენის ამბები. მ. ჟუჟნიასვილისაგან ნათქვამი, ს. ქურთაში ჩაწერილი. #I, განყ. II.
- ზანდუკელი, ვ. (1977). *ქართული საბავშვო ფოლკლორის საკითხები*. თბილისი.
- ინწკირველი, ე. (2004). სოლომონის ციკლის ზღაპრები. *ქართული ფოლკლორი*. 2 (XVII). თბილისი.
- კაპანაძე-გაფრინდაშვილი, ნ. (2006). ბედის „წერა-მწერელნი“ ქართულ საბავშვო ზეპირსიტყვიერებაში. *ქართული ფოლკლორი*. 3 (XIX). თბილისი.
- ტრუბეცკოი, ე. (1991). „სხვა სამეფო“ და მისი ძიება რუსულ ხალხურ ზღაპრებში. *სკოლა და ცხოვრება*. #8.
- ქურდოვანიძე, თ. (2001). *ქართული ფოლკლორი*. თბილისი.
- დლონტი, ალ. (1975). *ქართული ზღაპრები*. თბილისი.
- ჩიქოვანი, მ. (1946). *ქართული ფოლკლორი*. თბილისი.

REFERENCES

- ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]*. (1899)a. solomon brdzeni da dzaghlebis sachivari [Solomon the Wise and the complaint of the Dogs]. Said by M Zhuzhniashvili, written down in V. Kurta. #I, Section II.
- ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]*. (1899)b. solomon brdzenis ambebi [Stories of Solomon the Wise]. Said by M Zhuzhniashvili, written down in V. Kurta. #I, Section II.
- zanduk'eli, p. (1977). *kartuli sabavshvo polk'loris sak'itkhebi [The issues of the Georgian Children Folklore]*. Tbilisi.
- ints'k'irveli, e. (2004). solomonis tsik'lis zghap'rebi [The tales from the Solomon's Cycle]. *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. 2 (XVII). Tbilisi.

- k'ap'anadze-gaprindashvili, n. (2006). bedis „ts'era-mts'erehni“ kartul sabavshvo zep'irsit'qvierebashi [The “writers” of the fate in the Georgian Children’s Oral lores]. *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. 3 (XIX). Tbilisi.
- t'rubetsk'oi, e. (1991). „skhva samepo“ da misi dzieba rusul khalkhur zghap'rebshi [“The other kingdom” and search for it in the Russian tales]. *sk'ola da tskhovreba [The school and life]*. #8.
- kurdovanidze, t. (2001). *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. Tbilisi.
- ghlont'i, al. (1975). *kartuli zghap'rebi [Georgian tales]*. Tbilisi.
- chikovani, m. (1946). *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. Tbilisi.